



**საქართველოს იუსტიციის სამინისტრო**  
**საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**



KA011707988709320

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;  
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

# 306932

07 / სექტემბერი / 2020 წ.

**გადაწყვეტილება**

**ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღებისა და ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული პირის ჩაბმის შესახებ**

**ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი:** 276630/17; **თარიღი:** 06.08.2020 წ.

**დამატებით წარმოდგენილი განცხადების ნომერი:** 332301/17; **თარიღი:** 04.09.2020 წ.

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი:** გიორგი ყარაშვილისა (პირადი ნომერი 01019011621) და ოთარ ყარაშვილის (პირადი ნომერი 01019016776) წარმომადგენელი მარიკა ნიაზაშვილი (პირადი ნომერი 01007010551).

**გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომცემი სტრუქტურული ქვედანაყოფის/ტერიტორიული სამსახურის დასახელება:** საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - „საჯარო რეესტრი“) ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახური (შემდგომში - „ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახური“).

**გასაჩივრებული გადაწყვეტილება:** სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ №882020180425-10 (17.07.2020 წ.) გადაწყვეტილება.

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის მოთხოვნა:** სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ №882020180425-10 (17.07.2020 წ.) გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

**უძრავი ნივთის მისამართი:** ქალაქი თბილისი, ცინცაძის (ყოფილი ჩაპაევის) I შეს., №31ბ.

№276630/17 (06.08.2020 წ.) ადმინისტრაციული საჩივრის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ იგი პასუხობს ადმინისტრაციული საჩივრის მიღებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ყველა პირობას და მისი განხილვის დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა, და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე მუხლით დადგენილია დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, რომლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირის უფლებამოსილებას, წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე, შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის მოთხოვნით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 194-ე მუხლით დადგენილი წესით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, მისცეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე, 98-ე, 177-ე, 182-ე, 194-ე და 195-ე მუხლების შესაბამისად,

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

**1.** მიღებულ იქნეს წარმოებაში გიორგი ყარაშვილისა და ოთარ ყარაშვილის წარმომადგენლის მარიკა ნიაზაშვილის №276630/17 (06.08.2020 წ.) ადმინისტრაციული საჩივარი.

2. № 276630/17 ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ იქნეს ზაზა ბეჟაშვილი (პირადი ნომერი 01019061759).

3. ადმინისტრაციული საჩივრისა და თანდართული დოკუმენტაციის ასლები გადაეგზავნოთ ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურსა და ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ პირს.

4. დაინტერესებულ მხარეს განემარტოს, რომ წარმოებაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვს, გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინოს წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოოს წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადოს აცილება და ისარგებლოს დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით.


5. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე თბილისის იუსტიციის სახლში, (მისამართი: სანაპიროს ქ. № 2) და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა.

6. წინამდებარე კორესპონდენცია ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge).

7. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მხარეთათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

**წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.**

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/  
შტამბდასმულია  
ელექტრონულად 

დავით დევიძე